

F 343  
1979

ISSN 0132-5965



1979 ՅԱՅՈՒՆ ԸՆԹ  
**ԳԻՄՆԱԿ**



# ბანაობა

კ. გოგიაშვილი

მდინარეში ჩაწოლილი  
კამეჩები გრილდებინ,  
ცურაობენ ზატარებიც,  
ჯანსაღებად ისრდებიან.

— ბიჭო, გელა, მოდი, ჩქარა,  
ჰა, გადასტი, თუ სარ ბიჭი!  
შეგეშინდა? არ გრცხვენია,  
ჰა, გაბედე, რაო, გიჭირს?!  
— არაფერიც... მამ, მიცქირე!—

მბღალ სიდან ჩასტა გელა,  
ეურეუქელა... ეურეუქელა...  
და გამოხნდა იგი სელად.  
— როგორ ცხელა... როგორ ცხელა!—  
ამბობს ვია, რეხო, გელა.  
ცხელ სილაში გარაობენ,  
კოტრიელა, კოტრიელა.  
შერე ისევ მდინარეში  
შედგაუნდა ერთად ვეელა  
და იმათი ჟრინაშული  
იფანტება მინდორ-ველად.

ნახატი ელზარდ აგოგაძისა



# ბიჭი და მწყერის ჩოჩჩაბი

ვლადიმერ ასლავაზიშვილი

ყანიდან მწყერი იძახოდა:

— ქვითკიორ, ქვითკიორ...

ბიჭი გაფაციცებით უსმენდა. ის ყანის პირს იდგა. ხმა იხე ახლოდან მოდიოდა, ეგონა, ორიოდ ნაბიჯი რომ გადავდგა, მწყერის ბუდეს თავს წავადგები და იქნებ ჩოჩორს თვალიც მოვკრაო.

ჩოჩორი მწყერის ბარტყს ჰქვია. რა სასაცილო სახელია, არა? მამამ ბიჭს უთხრა:— შენზე ცოტადიდი ვიქნებოდი, ჩოჩორი რომ ვნახე, ორმოში ჩავარდნილიყო.

— ორმოში?

— ჰო, ვილაცას პურის ყანაში საგანგებოდ ორმოები გაეკეთებინა!

— რისთვის?!

— გეტყვი: ავი კაცი ხომ სულ ავ საქმეზე ფიქრობს, ხის წვეტიანი მარგილით ყანაში ორმოები გაეთხარა. მწყერმა სწრაფი სირბილი იცის, მირბის თავადერილი, რათა მტერს გაერიდოს. მწყერს კი აღამიანიც მტრობს, ქორიც, მიმინოს, გველიც...

— გველიც?

— მაშ, კვერცხებს და ახლადგამოჩეკილ ჩოჩრებს უჭამს. თუ მწყერი მოიგდო პირში, არც იმას დაუზვალეებს.

— მერე, მამა?

— გარბის მწყერი თავადერილი, იყურება აქეთ-იქით და ვერ ხედავს წინ მახე რომ უგია, ორმოში ვარდება, შივა მეორე დღეს ის უგულო კაცი და მწყერს დაეპატრონება.

— ჩოჩორი ვნახეო,— შეახსენა ბიჭმა.

— ჰო, ორმოში ჩაჩეხილიყო. ძლივს ამოვიყვანე. მეტად ლამაზი სანახავია. ქათმის წიწილს ჩამოგავს, ერთი ბეწო კია, კაკლის ნაკუჭში ჩაეტევა. ჩოჩორი მაშინვე გავუშვი, მერე მოვდექი და ის ორმოები მიწით ამოვავსე, ფეხით დავძიქე, რომ სხვაც არ გაბმულიყო მახეში.

— კარგად ვიქნია!— მოუწონა ბიჭმა.

მამამ განაგრძო:

— მწყერი მინდვრის მავნებელ მწერს ანადგურებს, ჩვენი მეგობარია, გაფრთხილება უნდა.

— მეც ხომ მუავდა მწყერი,— თქვა ბიჭმა.



ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

F 4570

კ. მამიაშვილი ს.ბ. ს.ბ. ს.ბ.  
საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

— როდის?—ვერ გიხსენა მამამ.

— ბიძამ რომ მომიყვანა.

— მომაგონდა, შარშან, არა?

— შარშან, — ბიჭმა თავი დაუქნია, — ყანის მკის დროს კომბაინის წინ აფრენილიყო. დაფეთებული გიორგი ძიას ზედ გულისპირზე სცემოდა. დაეჭირა და მარტო. მარტო ერთ დღეს მყავდა და გავუშვი. ოღონდ, მწყურის ჩოჩორი არ მყოლია, თვალითაც არ მინახავს.

— მაგათი მოხელთება ძნელია, თვალსა და ხელს შუა მიიპარებიან, მეც შემთხვევით გადავეყარე, — მიუგო მამამ.

იმის შემდეგ ბიჭი ხშირად დადიოდა ყანაში, რომელ მხრიდანაც მწყურის მოძახილს გაიგებდა, იქით მიარღვევდა წელამდე წამოსულ თავთავებს. მივიდოდა, მწყურის ბუდე რომ არ დახვდებოდა, გულდაწვეტილი ახლა სხვა მხარეს გაეშურებოდა.

ბიჭი ახლაც მძიმე-მძიმედ მიიპარება ყანაში. უცებ მწყური ფეხებთან ამოუფრთხილდა და მახლობლად ჩაეშვა. ბიჭი დაიხარა, გულამგერებულმა თავთავები ფრთხილად გადასწია და თვალმდებარეტილი დარჩა: დაბლიდან ექვსი

მწყურის ჩოჩორი შემოჰყურებდა. მართლა ქათმის წიწილებს ჰგვანდნენ, ოღონდ სასაცილოდ პატარები.

ბიჭს სიხარულის ღრუანტელმა დაუარა. თავიდან ნაბდის ქუდი მოიძრო, რომ ბუდისთვის დაეფარებინა. უცებ ცხვირწინ მწყურმა ჩაუჭროლა. ბიჭი შეერთა, მწყურს თვალი გააუოლა, მაგრამ განზრახულზე ხელი არ აუღია. ქუდი გარინდებულ ჩოჩრებს დააფარა. კმაყოფილმა გაიღიმა და მეორე ხელის თითები ქუდქვეშ შეაცურა, ჩოჩრებს დაუწყო ძებნა, ვერც ერთი რომ ვერ მოიხელთა, გაოცდა, ქუდი ასწია, ჩოჩრები სადღაც გამჭრალიყვნენ.

მამამ ტყუილად კი არ თქვა, მაგათი ხელით დაქერა სასწაულია, ისეთი ეშმაკები არიან, ნემსის უნწში გაძვრებიანო.

ყმაწვილი უკან გაბრუნდა. სულაც არ დარდობდა, რომ ჩოჩრები ვერ დაიჭირა. სამაგიეროდ — ხომ თავისი თვალით ნახა ისინი, ეგეც კარგია.

ბიჭი კმაყოფილი მიდიოდა შინ. ყანიდან კი ისევ მოსძახოდა მწყური:

— ქვითკიერ, ქვითკიერ...





# და დაუსვინს გვპილად

გივი ზინინაძე

მწიფს მაყვადი მთაში,  
შეთვალულა შინდის...  
და აგვისტოც საელაც  
მიტქრის ფრინდი-ფრინდით.  
აუსრულდა ნატვრა  
მზეს—მხიარულ მხატვარს,  
წვერწათებში ფანქრებს  
ქარი უთლის სხარტად...  
და რომ ყველა მისი  
მადლიერი დარჩეს,  
აფერადებს ირგვლივ  
ტყეებს, მინდვრებს, ბალებს.  
რამდენჯერაც წატყდა  
მწვანე ფანქარს წვერი,  
მზემ იმდენჯერ გაჰყრა  
ფოთლებს ოქროსფერი.

ყვითელს—აბა როგორ  
შეეჯიბროს მწვანე?  
და მზე მზისფრად მოსავს  
სათიბებს და ყანებს.  
აგერ, მწვანე ნესვი  
გააყვითდა ხელად-  
ჰა, გუდაბი მსხალიც  
ქარვისფრად ეღავს.  
ყველას უნაწოდებს  
სითბოსა და ადერს.  
იცის, შემოღგომა  
მოაკითხავს მადე-  
და დაუსტვენს ტკბილად  
სკოლის ღურჯი ჩიტი  
და სექტემბრის დიდაც  
მოვა ფრინდი-ფრინდით.



# მზესუმზირები

გურამ პარაზანაშვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

პატარა მზესუმზირა შეირბა, თვალები გააქ-  
ციტა და გაკვირვებულმა მიმოიხედა.

შორს, დილის ბინდ-ბუნდში ჩაძირულ უკი-  
ღვანოდ გაშლილ ველზე მხოლოდ მზესუმ-  
ზირები იდგნენ.

ჯერ ისევ ეძინა ყველას.

პატარა მზესუმზირამ კვლავ ცნობისმოყვა-  
რედ მიმოატარა მხერა. მან ხომ სულ ახლა-  
ხან გაახილა თვალი. გარშემო კი ამდენი  
საინტერესო რამ იყო...

— გაიღვიძე, პაწია? — შემოგსმა ვიღაცის  
გულთბილი ხმა და შემკრთალომა თავი შიბა-  
რუნა.

მთვარესავით გაბადრული მეზობელი ნელა  
ირხეოდა და აღერსიანად უღიმოდა.

პაწია მზესუმზირამ თვალები ააფახულა.

— აქ ყველა შენი ღობილია, — უთხრა

მეზობელმა, — მე მთვარისა მქვია; გვერდით  
რომ სძინავს, — ოქროსფერა; შენს წინ გაბარ-  
ჯლულს, — წვრილშვილა; მარცხნივ — ყვი-  
თელგულა... იქით — მხიარულა, მკინარა და  
თვალხუჭია ღვანან. შენ კი „პაწიას“ დაგარქ-  
მევთ, რადგან ყველაზე გვიან გაახილე თვა-  
ლი.

პაწიას სიხარულით შეუფართხალდა გული.  
რალაც სურდა ეკითხა უფროსი ღობილისა-  
თვის, მაგრამ ანაზღაველად ჩამოქროლილმა  
ნიავემა შეარხია.

— გაიღვიძეთ, ძილისგუდებო, გაიღვიძეთ!  
მზე ამოდის, თქვენი საყვარელი მზე ამო-  
დის!..

ზმორებიტა და შმუშენით გაიღვიძეს მზე-  
სუმზირებმა, ერთმანეთს ხუმრობით მიეხალ-  
ნენ და თავი მალლა ასწიეს.

— ნეტავი დღესაც არ ჩამოცხეს, — ნაღვლიანად ინატრა ყვითელგულამ, — გუშინ ლამის დამეწვა ფესვები.

— მზე ვინ არის? — იკითხა პაწიამ.

— მზე ჩვენი დიდი ნათესავია, ცის დღოფალია... დაღის მარტომდმარტო და ხანდახან საშინლად გვეწვეს თავისი მხურვალეობით, — მიუგო თვალბუქი და უცებ ყველას გასაგონად იყვირა: — შეხედეთ, დებო, ეს ხომ პაწიაა!.. უკვე გაუღვიძია!

ყველამ პაწიასკენ შეაბრუნა თავი.

— მართლა ის არის! შეხედეთ, რა მშვენიერია!

— კვერცხის გულივით ყვითელი თავი აქვს!

— გეგონებათ ოქროწყალში ამოუვლიათო!

— დიდხანს კი ვძინა!..

საკმაოხანს ათვლიერებდნენ უფროსი დები, ათასგვარი სააღერსო სიტყვებით ეფერებოდნენ.

ბინდუნდში ჩაფლული მთის გადაღმა ცა გაიციოცა, მტრედისფრად შეიღება და ბოლოს მთლად გაწითლდა. მთის თხემზე გაწოლილი ღრუბელი ცეცხლწყაიდებულებით გავარვარდა. პაწია სუნთქვა შეკრული გაჰყურებდა ცისკიდურს და გრძობდა, რალაც დიდი და მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო.

— მნათობი მოდის, მნათობი! — დაირბა ჩურჩული რიგებში, — ასწიეთ თავი მაღლა, შევეგებოთ ჩვენს საყვარელ დაიკოს!


— მცე შემიძლია შევეხდო? — მორიდებით იკითხა პაწიამ.

ირველივ გადაიხარხარეს. ახლო მდგომებმა მეზობლებს გადასცეს, იმათ სხვებს უთხრეს, სხვებმა კიდევ სხვებს და მალე მთელი ველი იციონდა...

დარცხენილმა პაწიამ თავი ჩაღუნა, მგერამ მისთვის აღარავის ეცალა... მთის თხემიდან ნათელმა იფეთქა, მოელვარე ოქრო გადმოიღვარა..

— ასწიე თავი, პაწია, სირცხელია, — ჩასჩურჩულა მისკენ ვადმოხრილმა მთვარისამ.

პაწიამ დაუჯერა და მოკრძალებით მია-



ჩერდა ცაზე მობღღვრიალე მნათობს. შე-  
ხედვისთანავე შოიხიბლა მისი სიკაშკაშითა  
და ელვარებით. თვალი ვეღარ მოსწყვიტა  
და ასე დარჩა მზეს მიშტერებულნი.

შუალღმე მოატანა, დაცხა. ხვატი მოძ-  
ლავრა. გამოფიტული და დამსკდარი მიწა  
ფესვებს წვავდა. მოღუნებული ფოთლები  
უძლოურად ჩამოეკიდნენ ღეროზე.

— წყალი, წყალი!— გაიშრიალა ჩუმმა ამო-  
კენესამ რიგებში.

— წყალი, წყალი, გვწყურია!  
— ვაი, კვდები, ცეცხლი მეღება!..  
— ფოთლები მიხმება!— აკენესდა ვილაც.  
— მიშველეთ, დებო, ერთი წვეთი წყალი!  
ყველას სწყუროდა, მაგრამ არსად იყო მა-  
თი დამრწყუნებელი. ფეთიანმა ნიავემა ჩა-  
მოირბინა და მხიარული ძახილით შევარხია,  
შეაშრიალა ყველანი:

— ასწიეთ თავი, რა ცხვირი ჩამოგიშვიათ!  
გაიხედეთ, წვიმა მოდის, წვიმა მოდის, წვიმა  
მოდის!..

— სად, სად, სად მოდის წვიმა?— გამო-  
ცოცხლდნენ მზესუმზირები.

— აგერ იქ, მაღალი მთის მწვერვალზე!  
— ის შავი ღრუბელი?  
— მნათობმა შეისმინა ჩვენი ვედრება და  
ღრუბელი გამოგვიგზავნა.

მაგრამ ღრუბელს მზესუმზირებამდე არ  
მიულწევია: სადღაც უნაყოფო, ქვალორდიან  
ადგილას ჩამოუშვა წვიმა და მედიდურად  
ახლა სხვა მხარეს გაემართა. ღრუბელი ყრუ  
იყო და მზესუმზირების ხვეწნა-მუდარა არ  
გაუშვია.

— საძაგელი, — ჩაიბუზღუნა წვრილშვილამ.  
— ვაი, გული მიძის! — აკენესდა ისევ ვი-  
ლაც.  
— ფესვები გაგვიხმა! — აზლუქუნდნენ სხე-  
ბი.

მერე სიცხისაგან სულშეხუთულებს ლაპა-  
რაკის თავიც აღარ ჰქონდათ. იღვნენ ჩუმად,  
დაღონებულები და მხოლოდ წყალზე ფიქ-  
რობდნენ. დიდხანს, დიდხანს იღვნენ მიყუ-  
ჩებულნი, გახვევებულნი და იმედგადაწყვე-  
ტილნი.

ანაზღად შლგვი ნიავე მოვარდა და რალაც

ხმები მოიყოლა.

— რა მოხდა, რა ამბავია? — იკითხეს მზეს-  
უმზირებმა.

— ბავშვები მოდიან, ბავშვები! — დაირხა  
ხმა.

შორიდან სიმღერა მოისმა, — წკრიალა ხმე-  
ბით გაიგოთ არემარე.

დამწყრივებული ბავშვები ბილიკს მიუყე-  
ბოდნენ, მხარზე ყველას თოხი, ბარი, წვრაქ-  
ვი და ნიჩაბი გაედო.

— არხიდან რუ უნდა გადმოუგდონ ჩვენ-  
კენ! — დაიძახა მაღალმა მზესუმზირამ, — გა-  
დავრჩით, დებო, მაღე წყალს მოგვიყვანენ!..  
— რა არის რუ? — იკითხა პაწიამ.

— რუ ჩვენი მაცოცხლებელი წყალია, —  
აუხსნა მთვარისამ.

— გადავრჩებით? — გაუხარდა პაწიას.

— გადავრჩებით, გადავრჩებით! — ამხაურდ-  
ნენ ირგვლივ.

მართლაც, არხთან მისულმა ბავშვებმა ხე-  
ლები დაიკაიწყეს: ვინ ბარით, ვინ თოხით,  
ვინ წვრაქვით და ნიჩაბით მიესიგნენ ფერ-  
დობს და რუს გაყვანას შეუდგნენ. მღეროდ-  
ნენ და თან ერთმანეთს შეძახილებით ამხენ-  
ვებდნენ.

მოლოდინში გავიდა ერთი საათი, ორი,  
სამი... მზე გადაიხარა კიდევ და აი, უცებ,  
მზესუმზირებმა ფერდობიდან დაქანებული  
წყლის ჩხრიალი გაიგონეს. დაგვალულ მიწა-  
ზე გამაღვებით მოიკვლევდა გზას არხიდან  
წამოსული წყალი და თან მხიარულად მოი-  
ღეროდა...

სულგანაბული აყურადებდნენ ამ სანეტა-  
რო, იღუმალ ხმას მზესუმზირები, მათ უკვე  
აღარ ეშინოდათ სიცხისა...

— წყალი მოდის, წყალი მოდის! — დრო-  
დადრო ისმოდა ჩურჩული მთელი იმ უკო-  
დვანო, ყვითლად გადახატულ ველზე და  
იმედით ძალამოცემული მზესუმზირები ნამ-  
დვილ მზეებივით ბრიალებდნენ.

— მაშ, გადავრჩით? — იკითხა ისევ პაწიამ.

— გადავრჩით, გადავრჩით! — სიხარულით  
მიუგეს ღობილებმა და სწორედ ამ დროს  
იგრძნო პაწიამაც ფესვებში წყლის საამო შე-  
ღიტინება.

# მაგარკებელი ქუთაისი-თბილისი

ლილი ნუსუზიძე

ხალხით სავსე ბაქანი,  
 ვინ სად მიდის-ვინ იცის.  
 ლიანდაგზე ჩამოდგა  
 „ქუთაისი-თბილისი“.  
 მამას ხელი ჩავკიდეთ  
 მე და ჩემმა დაიკომ,  
 აბუბუნდა რადიო  
 და ჩასხდომაც დაიწყო.  
 ესეც ჩვენი ვაგონი,  
 სუფთაა და კრიალა,  
 ბილეთები გასინჯა  
 ძიამ—ფარაჯიანმა.  
 და ზარის ხმაც გაისმა  
 ჩვენს ლხენად და იმედად,  
 ის ვეება სადგური  
 წამში დაცარიელდა.  
 ნელა, ნელა დაირხა,  
 როცა ხალხით აივსო,  
 მერე უტბად აჩქარდა,  
 მიჰქრის და მიხალისობს.  
 ესალმება ელმავალს  
 არგვეთა და საქარა.  
 ასე დიდი მანძილი  
 უპ, რა ჩქარა დაფარა.  
 უკვე ზესტაფონში ვართ,  
 ერთმა მგზავრმა გვახარა  
 და ფანჯრიდან გამოჩნდა  
 დიდი—ფერო ქარხანა!..  
 შორაპანს და ძირულას,  
 ხარაგაულს, მარელისს

მატარებლის სარკმლიდან  
 ვუცქერთ ფართე თვალებით.  
 გავიარეთ ხაშური,  
 აგარა და ქარელი,  
 გვესალმება გზისპირზე  
 მწიფე პურის თაველი.  
 რა ხანია გვესმოდა  
 გორის ციხის სახელი,  
 თურმე ბევრის მომსწრეა,  
 თურმე ბევრის მნახველი.  
 შრიალეებენ ფოთლები  
 და მზე თავზე დაგვენათის...  
 აგვრ, მცხეთაც გამოჩნდა,  
 ძველთაძველი ქალაქი.  
 აქ წარსულზე ჩურჩულებს  
 ქვა და კენჭი ყოველი,  
 ცამდე წამომართულა  
 ძეგლი სვეტიცხოველის.  
 გავიარეთ დიდუბე,  
 ზაპესი და ავჭალა,  
 ჩქარი მატარებელი  
 მიგვაქროლებს ჩქარ-ჩქარა.  
 ყელზე შემოგვეხვია  
 თბილისური ნიავი,  
 ჩვენი დედაქალაქი  
 შეგვეგება სიამით.  
 გორგასალის ქალაქი  
 მზის სხივებში კიფობს,  
 რასაც ვნახავთ, ჩამოვალთ  
 და ყველაფერს გიამობთ!





**იორამ ძვერბელიძე**

— შეელი სო ბატანის იბარავს?  
 — კი.  
 — შელა?  
 — შელა—ქათამს.  
 — თუფსა და კარაქს,  
 კველს და რძეს  
 კინ გუბარავს სოილა?  
 — კარა.  
 — კარაჲ, მკვლიც და მელიაც  
 სხივე სასაკელია.  
 ცხვარი თუ მკვლია მოკვტაცა,  
 ქათამი კიდევ—შელამ,  
 კარამიდ—რძე და კარაქი,—  
 სო ვეულა გამოკვლია!  
 — კი, მელია, მართლაც ასეა,  
 მაგრამ ქვეყანა ჭრულია:  
 ცოტა ამ ქვეყანაზე  
 დათვი, მკველი და მელია?  
 — ბევრია!  
 — ბევრი რომ არი,  
 უნდა ფიქრობდე ამასაც:  
 დათვსაც,  
 მელსაც,  
 კურასაც—  
 სვეულას უნდა ჭაბა-სხა.  
 სამ არ გეონია, წყენსეთი  
 მკაძენ, რასაც მაურბან!  
 ამ მკელის და დათვის შეიღებსაც  
 ჭაბა სოამ უნდათ?  
 — კი უნდათ!

— ჰოდა, ეს წყენი ტურები,  
 ეს მკვლები და დათვები  
 გეონია შეულებს ისურბან?  
 ჩანგაღეს სხარობენ თათებით.  
 რა გეცინება?  
 — არ მკერა!  
 — გინდ დათვურე, გინდ არა!  
 ჭა სოამ ღრმა არი,  
 წყალს სვამენ,  
 წარმოთიდავენ, ჭინდანც.  
 როგორ სვამენ და,  
 უბრალოდ,  
 მოხერხებულნი გასიღვან;  
 თუ მოხსნელთის,  
 ერთმანეთს  
 შედისაც სტაცებენ სასრავად-  
 იცინე,  
 მიდი, იცინე...  
 ვეული სო გუმრელია?  
 ქათამიც გოგარს?  
 — კი მიუღას!  
 — რას კონი, ბაბ, მელიას?  
 სხესეა მთელი ქვეყანა  
 მკვლებით, მელლებით, ტურებით,  
 რომ არ მოგუბარონ სკველი,  
 ამოწეღებოდნენ სრულებით.  
 ბუნებას თავის წყენს ბქეს,  
 დაუდგენა განკებას:  
 მელამაც უნდა იცხოვროს,  
 დათვმაც,  
 ტურმაც და მკვლამაც.  
 მამ, რა გეონია!

ბერ, ა,  
 უღრცესოდ და ურიგოდ  
 სხსლვებაც ნამოფურევიტ  
 ამ შენს მკელსა და ტურეკოს.  
 — სხსლვები!  
 — დაბს, სხსლვები!  
 მოდი და, ბუწინ-დაწწინათ:  
 ზოთაბრეში სომ დადიხარ?  
 ვეულა სხსლვები არ ცხოვრობს?  
 გაბსოვს, დათვი რომ გავუქცა?  
 შედ გაბაგვევით კინაღამ.  
 მარტო სხსლვები რა არი,  
 ვაქმეო, ვასმეო და ვინასეო.  
 არც კაცტორნომი დაბიან,  
 არც ზურსუტებენ ბასარბან.  
 ერთი, მე მკელი გენახა.  
 გორეთ რომ იყო, რას გავდა.  
 ახლა რა უჭირს, ბინაც ბქეს,  
 სკველ-სხსლვლიც მიუღამ,  
 ჭქიმიცა ჭეაუს უფასო—  
 თავისი კინსილიდომით.  
 მხსნულაც იპრია დაუღის,  
 ცხოვრობის განკების იმედით;  
 ისე ვერ ნახავ კარებში  
 თუ არ ახვენი ბილვითი.  
 — დობიდან შევალ!  
 — აჰ, მკელი,  
 რაზე ვიბებდე ამდენ!  
 ვერე თუ გავძერ-გამომძერ,  
 მამის რა შენ და რა მკელი.  
 მე ზოთაბრე არ არი,—  
 თითო-ორილა მკელი-დათვი!  
 აი, ნაერბალი რომ ნახო,

იმდენ მკელს ნახე, ვერ დათვლი.  
 დაბლიცებენ ნებორბად  
 დალაშობილენ დილაშვე,  
 ბუწსაც ვერაინ ბურეგის  
 ამ ნაერბალეების ბინადრებს.  
 შიგა აქეთ სორო-ბუნაიც,  
 სკველ-სხსლვლიც, რაც უნდათ...  
 დაწქეი, გინდა ადგეი,  
 ცხოვრობენ ბატონკადურბად.  
 — ნაერბალი რაა?  
 — ადგილი.  
 ტეე, ველი შემოლობილი.  
 ვერც ფეცით მესხად.  
 ვერც—ცხენით,  
 ვერც შენი ბურკობილით.  
 არ მიისინა ხსლა,  
 ადგეები  
 და ბაც მესხად დობიდან!  
 მსევი ნაერბალში მსეცია,  
 შედი, თუ შექმნა მოკინდა!  
 ჭერ ერთი, ვარაულიც ჭეაუს,  
 დაბრავი ნაირ-ნაირი,  
 შესვალ კი არა, თუ უნდათ  
 ვერც ხსლიმანლო გაივლი.  
 — რატომ?  
 — რატომ და... ვერ მიიტქამს.  
 შიტომ რომ ამ თქვა რამე!  
 კვლავაფერს სომ ვერ გაიბნობ,  
 რომ გაიხრდები, გაიკვებ.  
 ვერ ჰატარა ხარ... მხანძვე  
 დაუ, გოგარბდეს კოვული—  
 მენი ტეოსა და ველების  
 ვეულანაირი ცხოვული.



# ძველი სასაფლაო

(თორმეტი წლის გოგონას  
ჩანაწერი)

## რეპაზი ინანიშვილი

...ავდგები, ავიღებ წყებას და ავუყვები  
ძველი სასაფლაოს აღმართს.

გზა ჯერ განივრია, ქვა-ლორლიანი, შემდეგ და შემდეგ წვრილდება, ბოლოს კი მთლად ქრება. ბალახებში მივაბიჯებ. ბალახები ყვავიან. ყვავის ყვითფლგულა. თფირ-გვირგვინებიანი გვირილა, ლურჯად აკუნწულული ვარდკაქა, ლენისფერი სანთელა; ყვავის თაბერტყელი ფესვმანდუკი, ვერცხლის მტვერგადაფრქვეული აბზინდა; ყვავიან. ანათებენ, ლულულდებენ ჩახჩახა მზეში. მხოლოდ ერთია მინაბული, მიმქალი — კესანე. თითქოს ეწინაოდეს — ჩიტისთვალემა წინწყალა ცისფერი ყვავილებით თრთოლვით ამოგტქერის დაბლიდან. მომინდება მიფერება, ჩავიხრები:

— დილა მშვიდობისა, კეთილო კესანე!  
რა თქმა უნდა, ნიავი უტოკებს ტოტებს, მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ თავს მიკრაავს, სალამზე სალამით მეპასუხება. კიდევ უფრო ვიხრები და, სხვამ რომ არ გაიგონოს, ჩუმად ვეწურწულდები:

— მე ყველა ყვავილი მიყვარს, კესანე, მაგრამ შენ მაინც ყველაზე მეტად მიყვარხარ. შენ ყველაზე, ყველაზე ლამაზი ხარ.

ის უფრო შესამჩნევად თრთის. მე ავდგები, ცოტაზე გამოვშორდები და იქიდან ვუქნევ ხელს — ვემშვიდობები. ის თითქოს მიჩრდება, რომ ასევე, თრთოლვით, დამელოდება აქ.

ძეძვების კენწვროვებზე მწყერჩიტები სხედან და ჭყრალით გადასძახიან ერთმანეთს. ძეძვის ძირებში ხელიკები გაყურებულან. მზით გახურებულ პატარა ფლატეზე გამოსულა ჯოჯოც — თავისი გარეგნობით კმაყოფილი, ამჟყად თავაწეული, თვალდაუხამამებლად გიყურებს, მხოლოდ მუცელს ბერავს და კუმშავს, ბერავს და კუმშავს. ზემოთ ნა-

ლენწიანი (დალენწილია ალისტოს — მყარალა ხის ამონაყარი) ბალახობს ზურგნაირვე გამხდარი ცხენი. იქვე წვინან შეფფერი, სწორადთლილი, ხავსით ყვითლად შეფორეჯე-ბული საფლავის ქვები. ზოგან წოწოლა ნატეხი ქვებიც არის სამანებევით ამოჩრილი. ამ სამანებევით ქვების ქვეშ დამარხულნი არიან ძველი დროის საწყლები, ღარიბები. ერთი უბრალო ლოდი ვერ გაათლევინეს მათმა პატრონებმა ოსტატს, ვერ გადაუხადეს საფასურად სამი კოდი პური. ვერ გაათლევინეს და ვერ დაადეს გულზე.

თლილი ქვებიდან ზოგი დღია, ზოგი პატარა. პატარა ქვების ქვეშ პატარები წვანან. პატარების ქვებზე პატარა ბიჭები და გოგოები არიან ამოკვეთილი. გოგოებს ნაწნავები მყერდამდე აქვთ ჩამოშვებული. საგულდაგულად ამოუკვეთათ კაბის ღიფები. ბიჭებს მოკლე ახალუხები აცვიათ, თუშური ქულები მზურავთ. ერთი გოგოს ქვემოთ ამოკვეთილია საჩჩელი და თითისტარები. ბიჭს გვერდით უწყვია წალი და ნაჯახი. ერთს — მშვილდ-ისარი. ერთ ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „ლოთიშობელი დედავ, შენ დაუამე ტკივილი ჩემს პატარას“. ერთ ქვაზე შემორჩენილია წარწერის ნაწილი: „მიწა ჩემი საბანი“... ზოგ ქვაზე დახრილან ყვავილები.

სულ მალა გალავანია — დანგრეული. მიწის პირად დასული. გალავნის შიგნით დგას პატარა, შეულესავი, მოუღვლი ეკლესია. ეტყობა წვიმასა და სიცხეში აქ თავს აფარებენ ცხვრები და თხები, სქლად დღეს ძველი და ახალი ღრემლა... სანათურიდან ჩამოსული შუქი ეცემა საკურთხევის ქვას. იმ ქვაზე აწყვია: ხელისგულზე ცოტა დიდი, ჩაშვებული ხის ხატი, რკინის პატარა ჯვარი, ორი ლომონათის ბოთლი შიგ ჩამხმარი ყვავილებით. კედელში ჩასმულ ლურსმნებზე ჰკიბია: თათო ბავშვის ქრევი წინდები, ათიოდ მარცვლიანი უბრალო შუშის მძივი, წითელი ბაფთა. იქვე მიწებებულა სანთლის ნამწვავები, მებოლილი, სანთლით გაპოხილია ბათქაში.

მე პიონერი ვარ, მაგრამ, როდესაც თუნ-



ნახტი თამაზ ხუციშვილისა

დაც ამდაგვარად მოუვლელ, გაპარტახებულ ეკლესიას ვხედავ, რაღაც კრთომა და შორიდებულობა მეუფლებს მისადმი. ასე მგონია, ჩემი მამა-პაპის ცრემლებით იცოს აშენებული, ასე მგონია, წამიც და ჩემი გატანჯული ქვეყნის კენესა შემომგსმება მისი კედლებიდან.

ეკლესიიდან გამოსული გალანის ნანგრევზე ვჯდები, ფეხებაქრეფილი, მუხლებზე ხელებშემოხვეული — მაცხუნებს, მაცხუნებს სზე, მაგრამ მე ვუძღვებ.

უუ, ამ გალანის შიგნით რამდენჯერ მსხდარან შიშით აცახცახებული დედები და ბავშვები, გარედან კი, საზარელ სიბნელეში ისმოდა ცხენების თქარათქური და უცხო ტომის მხედრების ქვივილი. რამდენი თვალი უყურებდა, როგორც მხსნელს, სასაფლაოს ჩრდილოეთით მდინარისკენ ჩახვეწილ უფსკრულს. იმ უფსკრულის ფეხებში დღესაც ბინადრობენ ბებერი, ხმაჩახლეწილი ყორნები. ახლა ყორნები უმეტესად სღუმან.

სღუმან მთებზე გადმომდგარი აბოლქვილი

ლრუბლები, და მე მეჩვენება, რომ ყველაფერი, სულიერი თუ უსულო, მე შემომტყერის. მე მაკვირდება—ვინა ვარ და რა ვარ. და მე მინდა, რომ კარგი ვიყო, კეთილი ვიყო, ღამაში ვიყო. შემეძლოს... იცით, რა შემეძლოს? მოიცველივით დაეღვე მუხლებზე და ჩემი კეთილი კალთითა და უბით გადაეფეარო მთელ ჩემს ქვეყანას.


გალანიდან ჩამოვიდვარ და მართლა ვიჩოქებ. ვცდილობ. გავარჩიო, რას ეწურჩულება ჟანგისფერ ქვეს თავდახრილი ყვითელი შელგა. ნელ-ნელა ვწევ წინ ჩემი კაბის კალთასაც.

მაგრამ ქვემოდან სულელი ბიჭები მოდიან ყაყანით. მასასადამე უნდა აედგე და ღირსეულად დაეხედე.

ვღვები, თვალებში მებს ვივლები. მე ეს შემეძლია.

ქართველი ქალი ვარ და, უწინარეს ყოვლისა, ეს უნდა შევძლო.

ვიწყებ მუხლების გაქვავებით. მახსენებს ნიავი.



# სულ

სირა ჰიტიაშვილი

რა მომხდარა ტყეში,  
რაზედ ტირის ბული?  
— შინდი უჭაძია  
დაუპოიფიელი.  
ორითდე მარცკლით  
ჩაიწმინდა ეელი,  
ბელს მუცელი სტკივა,  
თვალეტი აქვს სველი.  
დღადმე უთხრა:—რად ხარ  
დაუიქრებელი.

შაძამ უთხრა:  
— რად ხარ  
დაუკირიფებელი.  
ბებამ უთხრა:  
— რად ხარ  
დაუჯურებელი.  
ბუბუნია ტყეში  
გაუთავებელი.  
ბელს ატიკებს ჭკუას  
დათვის მოდგმა მთელი.

# ჩეჩიონი

## ბიორგი მატრეველი

### პიესა 1 სუკათალ

**პონენიანი:** მამუკა, არჩილი, რეზო, გოჩა, გია, კახა.

სცენა წარმოადგენს სოფლის საკილაო მოედანს.

**კახა—(რეზოს)** ერთხელ მეც დაშევიდე,

რა მოხდება ნეტავი?

**რეზო—** მიეკირს, როგორ გამოხვევლ ასეთი გამბედავი?..

კარგი... მხოლოდ თუ ბეჭით

დაგანარცხე, ძამია,

მერე არ აღრიალდე,

არც გაანჩხლდე ძალიან!

**გოჩა—** მიდი, მიდი, კახაბერ,

რა ბიჭიკ ხარ, ნახავენ!

**გია—** კიდაობას რა უნდა,

ფეხის წამოკვრა უნდა...

(სალამურზე და დოღზე უკრავენ საკილაოს.

იწყება კიდაობა. კახა შუაკურით წააქცევს

რეზოს. გოჩა და გია აღფრთოვანებულეები

არიან)

**გოჩა—** მოდი, ჩემო კახაბერ,

გადაგოცნო ახლავე.

(ეხვევა კახას)

**გია—(მამუკას)** მიდი, შენც დაეკიდე,

ახლა შენი ჯგერია.

(ბიჭები საკილაოს უკრავენ. იწყება კიდაო-

ბა. კახა მამუკას კისრულით წააქცევს)

**გოჩა—** გენაცვალე მაჯაში,

გამარჯვება შენია!

**გია—** ჩვენი კახა, კახუნა,

ნაღდი ჩემპიონია.

(კახა ღვას და ილიმება თავმოწონედ)

**არჩილი—** აბა, მეც შემახველდრეთ

ერთი მაგ თქვენს გოლიათს.

(სალამურისა და დოღის ხმაზე იწყება კი-

დაობა. კახა არჩილს ცერულით წააქცევს)

**რეზო—**

ჰაუ, შენი კირომე,  
ეს რა მუხლი გქონია.

**მამუკა—**

მოკიდავე ასეთი  
ჯერ არ გამიგონია.

**არჩილი—**

სად ისწავლე კახაბერ  
ამდაგვარი ფანდები?

**კახა—**

ყოველ დღით ვვარჯიშობ,  
ყოველ დღით ვკაჟდები.

**გია—**


სამი ბიჭის წაქცევა—  
ხუმრობა ნუ გგონიათ.

**გოჩა—**

კახა ყველას ერევა,  
კახა ჩემპიონია.

(ბიჭები კახას ხელში იტაცებენ და მოედ-  
ნიდან გაჰყვით ქრიაშულით).

შ ა რ ლ ა



ნახატი სოფიო კინწუკრაშვილისა





## თვალისჩინი ილიკო

ირინე ტალიაშვილი

ნახატები ნანა სულავენაშვილისა

ერთი ციდა ილიკო დიდი ანცი და მოუსვენარი ბიჭი იყო. ისე გაგისხდებოდა თვალსა და ხედს შუა, მოხედვასაც ვერ მოასწრებდი. მერე რამდენიც უნდა გეძებნა, სად იპოვიდი! ისევე თვითონ გამოცუნცულდებოდა სამღავერიდან და „კიტაო“ — ნემსივით წვირილი ხმით დაიძახებდა. მთელ დღეს მხოლოდ „ილიკო, სადა ხარ“, ისმოდა. არც ძაღლისა ეშინოდა და არც კინკრის ფოთლისა. უნდოდა, ლობის ძირში დაიმაღებოდა, მოესურვებოდა — სამეღნეში ჩაძვებოდა და მოითხუპნებოდა. ისეთი პაწაწა იყო, დედას დასასჯელდაც ეცოდებოდა, დიდი-დიდი, კუთხეში დაეყენებინა. იქაც მტველი პაპას მიუჩენდა და ამ ყარაულობაში იმასაც თავის კანტური აუტყვებოდა. მერე კი, გამოფხობილებული, სათვალისადაც გამჭრად ილიკოს ბუბულუნით ეძებდა.

ერთხელაც კარგი ოინი დაემართა ილიკოს დე-

დას: ვიდრე სამზარეულოში ფუსფუსებდა, ბიჭმა დრო იხელთა და გასხდტა. საუბმეზე რომ მოუხმეს, საღლა იყო. დედამ იმდენი ეძება, იმდენი, რომ დაილაღა და ის იყო ცრემლი მოიწმინდა, საიდანაც წრიპინა ხმა მოესმა: — დეიკო, ფრთხილად, თორემ დავიბეგვებო!

— სადა ხარ, ბიჭო, დამენახვეო! — შესძახა გახარებულმა დედამ.

— შენს თვალბეშო, — აკისკისდა ილიკო. გაეცინა დედას, ილიკო თურმე თვალში არ ჩავარდინია! აბა, ხედს როგორღა ამოისვამდა. ჰოდა, ზის ახლაც ილიკო იქ და მშვენივრად გრძნობს თავს. დედამისი კი ოხრავს და ნალვლიანად მეუბნება: — ისეთი პაწაწინაა ეს საძაველი, ისეთი, რომ, მეშინია არსად დამეკარგოს, თვალისჩინივით ვუფრთხილდებო.

# თაგუნა, ლეკვი და კაკა

შუშანა მგელაძე

— ამუნია, ამუნია,—  
 ლეკვს ეძახის თამუნია.  
 ლეკვი კულის ქიცინით  
 და თვალების ციმციმით,  
 აფრთხობს ჩიტებს, ბახალებს,  
 ამ კულრაქა თამუნისა  
 აცინებს და ახარებს.  
 ბებო ამბობს ღიმილით:  
 — ცირკი არის ნამდვილი,  
 არ მიირთვა საუზმე,  
 დაავიწყდა სადილი.  
 არ გეყოფა თამრიკო  
 მარტო ცეკვა თამაში,  
 მოიყვანე ვე ლეკვი,  
 დაგეზმაროს ჭამაში—  
 გაიბუტა ფისუნა,  
 ლეკვს საჩხუბრად ვიწვევო,  
 ის რომ ჭამას დაიწყებს,  
 მე მშიერი ვიწვევო?  
 დაერივნენ ერთმანეთს,  
 კბილებით და თათებით,  
 აფრთხილდნენ ჩიტები,  
 აკრიახდნენ ქათმები.  
 თეფში სადღაც მიფრინავს.  
 ფაფა დაიღვარა.  
 აღრიალდა თამუნა,  
 ცრემლები სდის ღვარად.  
 ბებო ჯავრობს:—გეყოფათ,  
 რაც გასვით და ვაჭამეთ,  
 არც ლეკვსა და არც კატას  
 აღარ გავაქაჩანებ.



## შეისწავლა

შალვა შუბლაძე


გჭონდეს შრომის სიყვარული,  
 შეისწავლე ბევრი ენა,  
 არასოდეს დაღლილიყავ  
 ღილი ცოდნის შესაძენად.  
 რადგან, რასაც შეისწავლი,  
 ჩემო შოთა, ვაჟა, ლელა,  
 შენს სამშობლოს დასჭირდება,  
 შენს მშობლიურ დედა ენას.





ქ ს ზ უ ჯ ც ე ი

თავსაცხები



შევესეთ ცარიელი უჯრედები სამუშაო იარაღების სახელწოდებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ „ბურთი“.  
შეადგინა თბილისის 102-ე საშ. სკოლის მოსწავლემ ნინო ჩითინაშვილმა.

ქნუსკი —  
ქნუსკი

ანასკვი-მანასკვი  
ერთ სვიარა ბალახს ჰქვია,  
თიბთუქში თიბვის დროა,  
მკათათვეში უანას ქეიან.  
ანასკვი ბალახები  
ბარტეს ფესებზე განასკვი,  
ვინც დედას შვილს გამოუსნის,  
კარგი ბიჭიც მავანს ჰქვია.

გიორგი წარეთელი

ნაკადული

ტარიელ ხავთასი

ლიკლიკით და წკრიალით,  
სად იყო და სად არა,—  
კლდიდან ხტუნვით დაეშვა  
ნაკადული ანკარა.  
კენჭებს პირი დაბანა,  
ბალახს ძირი დაულობა,  
საღლაც მიეჩქარება,  
მირბის და მისაუბრობს.  
გამოცოცხლდა ბუნება,  
თვალს ახელენ კვირტები,  
ხის ტოტებზე დამსხდარან  
მოქიქიკე ჩიტები.  
არც ის არ წყვეტს საამო  
რაკარკას და სიმღერას;  
პაწაწინა ტაღღებით  
მიბუტბუტებს, მიღლავს.

გაბოქანა

ნოე პლატონიძე

სხვის ბუდეში კვერცხებს რომ დებს,  
არ გეგონოთ დაკარგული,  
როცა ბარტყი ფრენას იწყებს,  
შინ წაიყვანს მას .....



საქსელს

თამარ აბულაძე

— აბა, ჩქარა, აბა, სწრაფად  
დაჯექ, გიცილის საქანელა.  
თოქს ჩასკიდე მაგრად ხელი,  
აპყვე, დაპყვე, ფრთხილად, ნელა.  
როგორ მარჯვედ წამოსკუბდი,  
არ დაგვირდა ჩემი შეველა.  
გაქანდი და გამოქანდი,  
აბა, დელი, დელი, დელა.

მეხესი

მე,



მე



მე

ს



ა



მე

შეადგინა ქ. თბილისის 22-ე საშ. სკოლის  
მოსწავლემ მაია ხატურაძემ.



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა

ცხრაკლიტულას მეწვლეაურებმა სხვადასხვანაირი კვანძების გაკეთება ახწყადღეს. ეცადე—ამ ნახატების მიხედვით შენც ისწყადლო ასეთი კვანძების განსკევა.

შთაფარი რედაქტორი მუსტან მებჰაპარიანი

სარედქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი (სმე მღვანე), ელჰარე აბოჰაძე, კუკური გომიეაშვილი, ლეილა მრამე, მავჰალა მრავლიშვილი, ჯიშუარ შუაშიტი, გიორგი რუინიშვილი (სამხ რედაქტორი), იორამ მემირამიძე, რომარტ ღარიბაშვილი, გიგი მნალაძე.

საქ. აღკე ცე-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს შურნალე. ელახე ნახატი მანანა შორილაძისა. გამოცემის მმე წელი. ტექრედაქტორი ინლი წირითილი

მსაშართი რედაქციის გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14, ტელ.: შთ რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, 3/მე მღვანის — 93-10-32, 93-98-17; სამხ რედაქტორის—93-98-18; განყოფ.—93-98-19; სამღვანის — 93-98-16.

გადღეცა ისწყუბად 17/V-79 წ., სელმოწერილია დასახელებად 2/VII-79 წ., ქაღალდის ზომა 60X90, ფის. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. შეყე. № 1499 „დილა“ № 8, სა გრუიკონომ ასყე. ფასი 20 კახ

საქ. კე ცე-ის  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии